



№ 24 1916 | ფასი | **წელიწადი მეოთხე**
 კვირა, 12 თიბათში | 10 კ. | **გამოცემისა**

მიიღება ხელის მოწმის 1916 წ. უკრ.
წ. VI „თეატრი და ცხოვრება“ IV
ყოველკვირეული უკრნალი
 წლიურად 5 მ., ნახევარ წლით 3 მ. ცალკე ნომერი
 10 კ. ხელის მოწმის მიიღება „სორაპანი“-ს სტამბაში ყოველ ჯამს. ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—ხელთნაწერები საკურობისამებრ შეწორდება.—რედაქტორთან პირისპირ მოლაპარაკება შეიძლება „სორაპანი“-ს სტამბის კანტორაში—დილით 9—2 ს., საღამოთი 5—7 ს., ტელეფონი № 15-41. **თიფლისი, რედ. „Театри და Цховრება“ I. Имедашვილი**



დრამატურგ მგოსანი მ. ი. უ. დ. მთ. კონსტანტინე (კ. რ.) იგივე იოსებ არიმათიელის როლში გარდაცვლებიდან წლის თავის შესრულების გამო.

12 თბათვე

დგომა—ცდომა! გინახავთ თუ არა და-
ხუთული ცხენი, ფეხებს
რომ ატყაპუნებს და ნაბიჯი-კი ვერ გადაუღ-
ვავს, ანუ გუბე, რომელსაც ორფერი მოძრა-
ობა აქვს, — ჩაადებ კენჭს, წინწყლები ზო-
ლად გაღშლებიან და მერე ისევე დამშვიდ-
დება?

სწორედ ასეთ მდგომარეობას მოგვაგო-
ნებს ჩვენებური საზოგადოებრივი მუშაობა.

აიღეთ ჩვენებური დილა — საღამო — სე-
იჩნობანი, ანუ კონცერტ — წარმოდენები, —
სულ ერთფეროვანი, ერთნაირი, უმოძრაო,
უგერგილო!...

აქ ერთი ახალი სიტყვა, არც ერთი
ცხოველი ნაფიქრი და ნააზრი!...

გადახედეთ ჩვენი თეატრის მესვეურთა
„საქმიანობას“: რაც გუშინ იყო, დღესაც და
ხვალაც იგივე!...

აბა თუ ერთი ახალი ნაბიჯი გადადგან!
არ არის თვითშემოქმედება, შინაგანი
სიცხოველე, სიცოცხლე, მაჯის ძლიერი
ცემა!...

უკვე ზაფხულია, დრო მიღის და რას
შვრებიან ჩვენი მელბომენის მსახურნი?...

გასული და მიმდინარე სეზონივით უმო-
ქმედობას გამოიჩინენ, კერძო ამხანაგო-
ბანი შეადგენენ და ზოგიერთ ღირსეული
გაინაპირებენ თუ ამ თავითვე საქმეს
ხელს მოჰკიდებენ, რომ მომავალში მაინც
რიგიანი დასი გვყავდეს და თუმცა საკუთარი
თეატრი არა გვაქვს — იმ თეატრებში მაინც,
სადაც წარმოდგენების მართვა შეიძლება —
მართლა და რიგიანი წარმოდგენა, საღამო,
ანუ კონცერტები გაიმართოს?!...

საქიროა სიფიზოლე, თორემ... ისიც გან-
ქრება, რაც დღემდე მოგვიტანია!...

სპასკის დაუბეგლავი ლექსი

საქართველოს უკანასკნელი მფუე გიორგი (1798—1800)

ლორმუცელა გიორგი ცხენზე შეგორებულა,
თითქო ლოქო ექამოს, გამხიარულებულა;
წინ მიუძღვის ამაყად უცხო ქვეყნისა ჯარებს,
სურს საფიცრად მიადგეს წმიდა სიონის კარებს.
ამ დროს გაჩნდა ქუჩაში კუზანთ კეკელა, —
ტერტერას ქრივი იყო ქალაქში სცნობდა ყველა.
ქოშებში ფენ-გაყრილი, კალთა-ამოწეული,
ახალ ამბის მუსუსი, ბოგჯერ ქორსაც ჩეული,
ახლაც გამოსულიყო ამბის გასაგებათა:

— მეფე რო მხიარულობს ნეტა რა დემართა,
რომ ასე სიამით, ზეიმით და ზარითა

ტაძარში მიბრძანდება, უთვალავის ჯარითა?!
უთხრეს: დედი, უმართებს, დიად მხიარულია,

მან მიიღო დღეს ჯილდოდ მხარდღივ კავალერი
— რა ჯილდოა ნეტავი: თვალი თუ მარგალიტი,
რომ ჯერ არ მომხდარიყოს მისთანა მაგალითი?!
— ნიშანი დიდკაცობის, მხოლოდ სამკაულია;
ვერა ხედავ ლუჯ სარტყელს, მხარ-ბეჭზე რომუფლია?
— როგორ? სულ ევ არის და მეტი არაფერია,
რო მეფეს თვალი როსჭრა და ჰკუა აერია?!
რა ნახა ლურჯ კინჭებში ისეღუსაშველო,
რო მასში გაცვალა მთელი საქართველო?!
მისთვის შორს რად გარბოდა? რო მცოდნოდა დღემდიო,
გადეკირიდი ნ — ს ტოტს და მას მივართმევდიო.

თი

აკაკი

ეს ლექსი დაწერილია 1858 წ. გადმოგვცა ვარ. ყიფიანა. რედ.)



მგოსანი ნიკოლოზ ბარათაშვილი

ნახატი ალ. ჭმრეელიშვილისა
(წელს უსრულდება დაბადების 100 წ.)

წელის ასული

I

მაშინ გიმნაზიელი ვიყავი, 15 წლის გიმნაზიელი. ორი რამ მიყვარდა: ანკარა, გიჟი ხანის მდინარე და აბრეშუმის ძაფით ნაქსოვი ქარვის ფერი სასროლი ბადე. ზაფხული ჩემთვის ყველაფერი იყო. მთელ ღღებებს მდინარეზე ვალამებდი. მთვარიან ღამეში ხანის წყლის პირას—ბადეს ვშლიდი და მხიარული ვიყავ, რომ თევზები ჩემს პარკში ფრთხილად გადადიოდნენ....

აღამიანი იშვიათად მნახავდა, ყველა წყლის კაცსა მეძახდა, და მეც ამ სახელით ვამაყობდი.

— წყლის ქალი ხომ არა გყავს შეყვარებული, ბიჭო, მკითხავდნენ ხოლმე, რომ სულ წყალში ხარ.

— მამის სული ნუ წამიწყდება წყლის ქალს ყვარობს, თორემ ერთი ბადე არ გაუ-

ცდება, იმიდენ თევზს იჭირავს. — დაუმატებდა მოხუცი მეწისქვილე, როცა წისქვილის ახლოს დამინახავდა...

მე ამ ლაპარაკს ღიმილით ვისმენდი, თავი მომწონდა როგორც კარგ მებადურს და ღიმილით ბადესა ვშლიდი. ხშირად დავიღლებოდი ხოლმე, მკლავები დასუტდებოდა და მე საღმე მოლზე მდინარის პირას მივისვენებდი, მივწვებოდი და ტალღათა რიკრიკში ჩავიძინებდი..

— წყლის კაცს შეხედეთ, სა მიგდებულა?.. ხშირად ჩამე მოდა ხოლმე მგზავრის სიტყვები.

— აღბად წყლის ქალს უცდის.. დაუმატებდა ხოლმე მეორე...

ერთხელ ასეთი დასვენების დროს, ჩანჩქერის გვერდით, რომელიც ჩემი საყვარელი ადგილი იყო, სადაც ხშირად მის ჩხრიალს ყურს ვუგდებდი და დაღლილი მისა გიჟური გამოძახილით დამტკბარა ვისვენებდი, უცნაური სიზმარი ვნახე..

ვნახე სიზმარში ლერწმოვანი ტანის ასული, რომელსაც მდინარის ქაფი ემოსა თითქო მარმარილოსაგან გამოკვეთილი იყო სახე მისი, რომელიც მარწყვის ფერი ტუჩებით შემკულიყო. მისი თვალები მუხის ნახშირივით შავი იყო: წარბები კი, ცხელი ლურსმით ამომწვრივი სპილოს ძვალზე, ნახუნსა ჰგავდა.. ორი ნაწნავი ზაფხულის უმთავრო ღამესავით ყურყურში, გადმოეშალა და ასეთი ჩემს ახლოს გაჩნდა. მომიახლოვდა, ღიმილით ხელი გამომიწოდა, ბადე მთხოვა... მივეცი. მომიარჯვა იგი და გაშალა.. თავს გადამაფარა... შიგ გამხვია.. მერე თვითონაც ბადეში შემოძვრა და აღერსი დამიწყო... აღერსი.. ჰო.. მე ისეთი არა მენახა. ის ცეცხლი იყო, ცეცხლი აღმური, რომელიც მწვავდა მე. მწვავდა, მარა მინდოდა სულ დავმწვარიყავ... როცა ჩემს აღერსს მორჩა, გვერდს მომისვა და ზღაპარი მაიმბო.. როცა ზღაპარი გაათავა, ტუჩებში ჩამეკონა და უცებ მომშორდა... თვალი მივატანე, რომ ჩანჩქერში გადასცურდა—გაქრა... გამომეღვიძა..

II

წყლის ასული, წყლის ასული, ჩემი ოცნება ის შეიქნა... მე შემიყვარდა იგი, ვინც სინამდვილეში ერთხელაც არ მენახა...

დაღვრემილი მოგვად მეორე დღეს ბადეს ხელი და მდინარისკენ წავედი, მარა რამდენ ბადეს გავისვრიდი, იმდენი ოხვრა გულს მოსწყდებოდა, მოსწყდებოდა საოცნებო წყლის ასულზე და ხანის წყლის ბუჯბუჯტს ჩაეწნებოდა.

ოხვრით მივედი ჩანჩქერამდე... სევდიანი გავეკვდე ვერხვის ძირას და ჩავსთვლიმე... ღმერთო, ისევ ის სიზმარი, ისევ ის მოჩვენება. წყლის ასული ისევ ჩემთან არის; მგაღერებს, ზღაპარს მიაშობს... ჰო, მე ბედნიერი ვიყავ, ბედნიერი... ბედნიერი, რომ ოცნებით შევიყვარე წყლის ასული და ამ ოცნებამ არ მიღალატა, არ მიღალატა და ყოველთვის სიზმარში იმას, რაზედაც მთელი დღეები ვფიქრობდი, ვნახულობდი.. განვიცდილი...

III

ტკბილმა ზაფხულმა გაიარა... უკანასკნელი დღე ვიყავი სოფლად... ქალაქი თვისკენ მიწვევდა... ბადე ხელში ავიღე და მდინარისკენ გავემგზავრე... მინდოდა წყლის ასულზე სულ არ მეფიქრა, მაგრამ იგი მიდგა თვალწინ, იგი მელანდებოდა... დადლილ-მოქანცულმა მივაწიე ჩანჩქერამდე...

მოღზე დავეშვი. წამი და ძალა წამერთვა. რალაც ბურუსი თვალეზე გადამეკრა. ტკბილად ჩამძინებოდა. თვალეები რომ გამოვახილე, შევკრთი... სად ვიყავი არ ვიცოდი. შხუილი მომესმა... იქით გავიხედე... ჩანჩქერი მთვარის თეთრი სხივებით შემოსილიყო. მივაშტერდი მის თეთრ სვეტებს. სული შემიგუბდა. გამახსენ და წყლის ასული... მეძინა და... მე იგი სიზმარში ვერ ვნახე... ვერა. რათა? მე ხომ დღეს უკანა კნელათა ვარ აქ... წასვლის დროს რად არ მოვიდა... არ ვნახე...

ღმერთო!! მაგრამ აი, აი, მე იგი დავინახე... ჩანჩქერის სვეტთა შორის. თმა გაშლილი სევდიანი მომჩერებია... მე მინდა მისკენ გავიქცე—ჩანჩქერში შევიქრე, მარა ადგილიდან ვერ ვიძვრი...

— მო... მო... დი... ვიძახი...
— არა... მე სინამდვილეში შენთან არ მოვალ...

— მაშ მე... მე მოვალ... დავიძახე და დავინძერ...

— გიჟო, შეჩერდი... მისმინე.
შევჩერდი...

— ჩემო გიჟო, ჩემო, ერთადერთო... მე შენი ვარ... შენი... ნუ გეშინია, მე ცხოვრებაში შეგხვდები... ახლა მშვიდობით. ეს სთქვა და გაქრა.

— დარჩი, დარჩი, დავიძახე... მორევისკენ გავექანე და ვაპრობდი მდინარეში შექრას, რომ ვილაცამ ხელი წამავლო.

— ბიჭო, ხომ არ გადიროე?—მომესმა ვილაცამ ხმა. მე მთლად ვკანკალობდი...

— ბიჭო, რა იყო, ქაჯი ხომ არ მოგლანდებია დამეკითხა იგივე ხმა...

— ჰო, ქაჯი, ქაჯი... გავიმეორე და ქვითინი წამსკადა...

IV

გავიდა ხანი. ცხოვრებაში წყლის ასულის აჩრდილები მხვდებიან. მხვდებიან—წყლის ასული მგონია, მაგრამ გაივლის ხანი, მოვისმენ მათ ზღაპარს და არა, არა... იგი არ არის...

ვერა, ვერა... ჯერ კიდევ ვერ ვიპოვე იგი, ვინც ტკბილ ზღაპრებს მომითხრობდა ჩანჩქერის პირას...

ვერა, ვერ ვნახე, ვერსად შევხვდი.

სევდით, სევდით დავიარები... მეტეორებივით გადივლან ჩემს ცხოვრებაში წყლის ასულის აჩრდილები და სული ისევ ობლად რჩება...

იმას-კი, ვინც მითხრა ცხოვრებაში შეგხვდებიო, ვერ შევხვდი...

ვერავეინ მიაშობ წყლის ასულივით ცხოვრების ზღაპარი.

და ვეძებ...

შეიძლება შევხვდე... ვინ იცის!.. ხშირად სინამდვილე ოცნებაა და ოცნება სინამდვილე.

და ვეძებ ვინც სიზმარში ჩემი ოცნება იყო და ოცნებაში ჩემი სიზმარი...

ვიპოვი კი?

ღია ჩიანელი

ირდიონ ევდოშვილის ხსოვნას *

როგორც იქნა ექვს მისის, დამის თორმეტ საათზე, რვა თვის განმავლობაში ციხეების ჯურღმულებში ჯდომის შემდეგ, სრულად თავისუფლად ვიგრძენი თავი. მართალია იმ წუთს შორს იყო ჩემი „ტა-ფირუზ ხელები სურმუხტი“, მოწვევითი ვიყავი მშობლიურ ანემას და თავისიანებს, მაგრამ თავისუფლებას დღთისგან და კაცისგან მოძულეებულ ასტრანხანშიც კი უსახდრო მიმოაღველებს და უძირსი სიტუბება აღმოაჩნდა. ელვის სისწრაფით გადაეშვა მოგონებთა ქვესკნელში განვლილი ტანჯვა და მე კვლავ შემიპყრო სიხარულმა, უმწიფლურმა აღფრთოვანებამ. ხომ მაგესსენებათ უკაცსა მიხედვს საწადელი, — რას ეძებდეს, უნდა პოვნა — მაშინ მისგან აღარა ჰხამს გარდასრულთა ქირთა ხსოვნა“, შოთას ისიც უთქვამს „მაშინ ლხინი ამო არის, რა გარდინის კბი ქირსაო“. და მეც ვიღებდი. მაგრამ ჩემი ღებინი, რასაკვირვებია, ზღაპრის ტრემულების სმაში არ გამოხატულა.

რას მოხდა უჩემობის დროს ქვეყანაზე, რას ამბები დატრიალდა ბრძოლის ველზე, რუსეთში, ჩვენში? რა მდგომარეობაში არიან ტოლ ამხანაგები, თუ სათესვები? ახ რა კითხვების გარშემო ამუშავდა ჩემი გრძობა და გონება. ვგეგმა ამ კითხვაზე ახ თუ იმ პასუხის მიღება ჩემთვის პირდაპირ დღესასწაული იყო, ვგრძობდი, რომ ბნელეთიდან თანდათან გამოვდიოდი და დროებით დახუჭული თვალები ისევ მუხილებდა. განსაკუთრებით დავაწაფე ქართულ გაზეთებს, არ გტოვებდი წაუკითხავს განცხადებასაც. ვკითხე ერთი დღე, მეორე, მესამე დღეს კი თავზარდავტევი ამბავი ამოვიკითხე:

— გარდაიცვალა მკლასანი ირდიონ ევდოშვილი.

მთელი ჩემი აღფრთოვანება მოქვამდა. აღმაფრენამ ფრთები დაუარა და კვლავ მომიტყა იმ სულიერმა განწყობილებამ, რომელსაც

ხელში ვეჭვდი სულ რაღაც დღის უკან, ვიგრძენი რომ უღმობელ ცნობების მკაცრი სინამდვილე უხეშად ჩაწვდა ჩემის გულის სიღრმეში აუღებელი სისხარულთა ჭიმი და ბოლო მოუღო წემს სულიერ ღებინს. ამკვდა ევდოშვილი, ის ევდოშვილი, რომელიც... ვფიქრობდი ვოველ წუთს და წინადადებას ამხსენებით ვათავებდი, სიტყვები ან არ მუხავა და ან არც მინდოდა მომეძინა, რომ მკაცრი და შეუსაბამო რამ არ წამომდგენოდა იმ მკლასის შესახებ, რომელიც ასე მიყვარდა, რომელიც ჩემი სახლგანდობის ჭროსონტზე ავრე ბწვინავდა, ავრე მიმიზიდველად კაშკაშებდა.

მოიგონეთ ის არსება, რომელთანაც თქვენ განიცადეთ პირველი სიყვარული, სიყვარული უმწიკვლო, წმიდა, აღსავსე პოეზიით; სიყვარული ამამალღებელი, განმასპეტაკებელი, თქვენი პიროვნების გამომრკვევი. მოიგონეთ ისიც, რომ თქვენი სიყვარულის საგანმა სამაგიეროდ მოგიძღვნათ ის, რაც თქვენ მიუძღვენით მას. დიდხანს, დიდხანს იყავით უტკბილესი მეგობარნი, გრწამდათ სიყვარულის უცვლელიობა, გრძობათა მუდმივობა და ერთგულობა... მაგრამ გადის დრო და ჰოი, თავზარდამცემი ამბავი! თქვენი სატრფო სხვას ამოდგომია გვერდით. მთელი არსება გეწამლებათ, არ იცით რითი ახსნათ ეს მოვლენა, რითი ვასცეთ მას პასუხი. პირველ ხანებში შეუარაცყოფილი თავმოყვარობის პარაქსიზმი ისე ილიერა, რომ თქვენს სატრფოს ცუდით სიტყვებითაც კი შეამკობთ, ხოლო შემდეგ კი, როცა ნერვები ასე თუ ისე დაწყნარდება, სატრფოს მდგომარეობაშიც შედიხართ და ასე მსჯელობთ: კარგი, მე გამშორდა, სხვასთან წავიდა, მაგრამ იქნება კი იმასთან ბედნიერი? მთელი თავისი ყმაწვილური გატაცება ჩემთან განიცადა, თავისი სიკოცხლის საუკეთესო დღენი — ახალგაზღობა — ჩემთან გაატარა, ერთის სიტყვით, უკვე დახარჯა ის, რის დახარჯვაც კი შეეძლო... და დღეს კი ხელ ახლად ცდილობს გაახალგაზრდებას, ხელ ახლად უნდა გაიმეოროს ის,

*) ვბეჭდავთ ამ ფრად საყურადღებო წერილს, თუმცა დიდთ პატივცემულ ავტორს ზოგიერთ აზრში არ ვეთანხმებით. რედ.

რაღ უკვე განიცადა? თუ ამის ფიქრი აქვს, ხომ არსებობდა სანტიკა! უმწიკველობის შესწავლად ერთ მხრეზე მხოლოდ ზიარული სიყვარულია. ამ დროს ირვევს ადამიანის ზიარება: მისი ტემპერამენტი, შთაბეჭდილების ძალა, ნების დონე; ეს არის ადამიანის ცხოვრებაში თვალის ახელის ხანა, სულიერ განმეორებების დღე. მალაქატე სატრფომ ევგლათური ეს განიცადა, მაგრამ ესაა კვლავ მოინდომა მისი განმეორება. ცდება საბრძოლვე: ახალგაზრდა მხოლოდ ერთხელ გვეწევს, გენიოსი მხოლოდ ერთ განსახლურულ დროს არის ადამიანი თავის ცხოვრებაში, „თავსა ახლად ვერვინ იშობს“. მის რათ მიდლდატა ჩემმა სატრფომ, რათ? ახალი რამე შეუძლია განიცადოს მან უკვე განიცადებდა? განმეორება ხომ კარგი ტურია?

აი ასეთ სატრფოს ვაძრებ შე ირადიონ ევლათური.

შე ის მიყვარდა, გაგიყვებით მიყვარდა. ეს იყო ჩემი შეგნებული ცხოვრების განთავსება, ეს იყო მაშინ, როცა ჩემმა ზიარებაში ფეხი აიღო და წუთი სოფლის კანობა მოინდომა.

„მეგობრებო, წინ, წინ გასწით ნუ შედრკება ოქციონი გულიო“, გავიგონე და ელვის სისწრაფით ვიგრძენი, რომ ევლათურის ხელმა მაგრამ ჩამოგვს ჩემი გულის სიღრმეში ჩაფლული ხანა. აფორიქდა სულა, ატორტმანდა მთელი არსება, მომინდა სიცილი, თავდაუშვრელი ხარხარა, სადღაც გაფრენა, კლდე დროში გადაჩეხა. შე თითონ არ ვიცოდი, თუ რა მინდოდა, რისთვის დემტეინა სული ასე, ახგარის ვერ ვაძლევდი ჩემს თავს. მაგრამ რა საჭირო იყო ეს მაშინ ჩემთვის?

„ღე, შუბლის ოფლის დალი აჩნდეს და გულს სისხლის ნაკადულო“, განუწვევტივ მესმოდა და მეც ვხეიამობდი მთელ ჩემ სამოქმედო ენერჯია შემეკრებოდა.

„ქარი ქრის, ქარი სისინებს, ქარი დასტორის ბნელასა,

ღამეა კეშნიანი, თვალი ვერ ხედავს ვერასაო“,

დავლერა მეორედ მგოსანმა და ჩემს არსებაშიც მეორე გვარმა გრძობამ იფეთქა, რომელიც თურმე აგრე შეუმჩნევლად მიმაღლეთ ზიარების გვერდით. ამ გრძობამაც ერთიანად შეარ-

ეია მთელი ჩემი არსება, მძლავრად მოიჭრა იგი და ერთის წუთით გადატრიალდა ზიარულზე. მაგრამ გავიდა დრო, დათავდა ზიარული შთაბეჭდილება და შევამჩნიე, რომ ორთავე გძრობა — უსახდრო იმედით აღსავსე „წინ, წინ გასწით“ და კეშნიანი ამონაკენისი — ერთად მოთავსებულ იყო ჩემს სულსა და გულში და ორივე ერთნაირად ცხოვრებდა და ახსლებდა ჩემს ზიარებას.

რას შესცქერ, ძმაო, ფანჯარაში მდიდრის ქულაჯას,

არა გავს განა კონკად ქვეულ შენს ძველ ფარჯას“.

დაიწყო ელგეიურად მგოსანმა და დასასრულ დაუმატა:

ის ხვამ წაილო, შენ გარგუნეს ეგ კონკის ძველა,

ასე რათ ხდება? ჰკითხე შენს თავს მაინც ერთხელა!

და მე ასე მეგონა, რომ კალუმბის გემზე ვიყავ და ამერიკის ზიარულად დანახვისას „მიწა, მიწა“ თქო შეშლილივით წამოვიძახე. ამ პატარა სეგლიანმა დექსმა, რომლის კითხვისას თვალწინ გადავხედი შეათო — მდიდრის სასახლე და მისი შემეურვე დაჯიგეილი მუშა, უცებ ამხილეს თავლები და მხატვრულ სიტუბოების განცდასთან ერთად, გონებაც ამომუშავეს.

„ასე რათ ხდება, ჰკითხე შენს თავს მაინც ერთხელა“, მეც ვუთხარი ჩემს თავს და პასუხის საძებრად გაშეგებული ვამოქმედდი.

„ბედნიერებო, გამოდით გარე, მხოლოდ თქვენთვისინ ანათებს მთვარე,

შენ კი საბრალო, ბედს რომ ემღერო ამ მეჯლისიდან გამოიპარე“...

ამის დამწერი ადამიანი რომ იმ წუთს შენახა, მგონი სისახრულით გადავირეოდი და წამსვე დემერთად გამეფანჯრებდი მას. რომ იტყვით რამდენჯერ, რამდენჯერ გამიმეორებია შე სეგლიანი ამონაკენისი და რამდენჯერ ვიმეორებ სახლაც და მასთან რამდენ შხამს ვდებ შიგ, რამდენ გულისწახილს! „ბედნიერებო, გამოდით გარე, მხოლოდ თქვენთვისინ ანათებს მთვარე“, ეს გასდით შეზავებული სიტყვება, თუ შეიძლება ასე ითქვას, მთელი ჩემი სულიერი ავლადი-

ბის ეპიგრაფიას. ვინ მაგრძნობინა მე ეს პარველათ, ვინ გამაგებინა?

მხოლოდ და მხოლოდ არაღიან ეგდომილმა.

და განა მარტო მე ამიხილა მან თვალები? მე მხოლოდ უმნიშვნელო წვეთი ვიყავი იმ სდვაში, რომელსაც ძალუმათ აღეფეება ნიჭიერი ზოტიის მიერ ატეხილი ქარტყნილი. ამ დროს ეგდომილი მთელი ახალგაზრდობისთვის სიათეგანო ზოტი იყო, პირდაპირ კერპად დასასმელი არსება.

— «წაიკითხე ეგდომილის ლექსი? დაიხე-ზირე რომ სცენაზე წავიკითხოთ? შეიძინე მისი ნაწერები? » აი ის კითხვები, რომელთაც მიმართავენ ურთიერთს ცხრას სიმხუთ-ქვესიან წლებში ჩვენი საზოგადოების წელში გასწორებული წვერები, რომელნიც ასეთის გატაცებით შეტრფოდნენ ახალ ცხოვრებას და რომელთაც ესოდენი მსხვერპლი შესწირეს ამ მიზნისთვის ბრძოლას.

დღე და დამე, ტყეში თუ მინდვრად ეგდომ-

შიელი განუშორებელი ჩემთან იყო, მის თხზულებათა კრებული მუდამ იდლიაში მქონდა და ვით მართლ-მორწმუნე მკვამლიანი, მომავალდებოდა თუ არა მისი სახელი, წამსვე მაწიწებით შევუდებოდი ათათასჯერ გაღანკითხის კითხვას მე შენსეული მაქვს ის ეგზემპლარიან მგონის თხზულებისა, რომელიც ჩემს თანამგზავრობას ეწეოდა და რომელიც ერთიანთ დამეფლითა. აი ამ დღე და დამე თრევაში დაფხრეწილ წიგნს რომ დაზარაკი შეეძლოს, იცოდეთ ბევრ რამე საინტერესოს მოგვითხრობდა ჩემი მაშინდელი სულიერი მოძრაობის შესახებ და განა ეს მარტო ჩემს შესახებ იქნებოდა მართალი? არა, სწორეთ ამ გვარ გრძნობებს განიცდიდა მაშინ მთელი ჩემი სამშობლოს საუკეთესო ნაწილი მგონის ქნარის ქდრის მოსმენისას... ჩემი დაფეთილი წიგნი ჩემზე ამბის მოთხრობისას თქვენ მხოლოდ ტაზაურ მოფლენას გატაცობდათ.

ვ. მალაქიაშვილი.

(გაგრძელება იქნება)

მოდლიაულ

(გაგრძელება)

გზაზე

იხ. „თ და ც.“ № 23

იან. კარაბეტა? ჰმ... აქეთ-იქით თვალეზს აბრიალეზს, ეგება სხვისიც ჩავიგლო ხელშიო და მე უკანვე მომართმევს? მეორე მიწების გაყიდვაც ამ თვის გასულს არი დანიშნული.

ოქრო. კი ვეღარ მივართვი.

იან. მეეტლე გავისტუმროთ. ერთი გაიანე. (აღკება).

გაიანე. როსტომი გაისტუმრებს.

იან. არა მოიცა მე საქმეცა მაქვს (გადის და თან კნ. გაიანეც გაჭყუება. სცენაზე მარტო მაკინე და ოქრო დაჩხუბიან. მაკინე გარინდებუდა, ოქრო თავხალუნული სდგას).

მაკ. (ცოტა ხნის მერე) ოქრო! გახსოვს ამას წინად მკითხებოდი, ბედნიერი ხარ თუ არაო? მაშინ გიპასუხე, ჩემისთანა ბედნიერი ქვეყანაზე არავინაა მეთქი! (ქვითანი აუფარდება).

ოქრო მაკო! ძვირფასო! გამაგრდი, ნუ გეშინიან, მე აქარა ვარ? ყოველ-ლონის ძიების ვიხმარ, ის მამული უკანვე დაგიბრუნო, თუ არა და ჩემსას შემოგწირავ, თავს შემოგველები! (ეხვევა და ჰკოცნის. მაკინე გადახვევა მას და ქვითანებს).

ფარდა

მოკმედება მისამე, სურათი შექქესე.

დეკორაცია შეოთხე სურათის, კნ. თექელს ბადში მთვარანი დაშვა.

I

მაშო და **ქეთინო**, ბადში დასვირნობენ. ქეთინო აღეფეებუდა.

ქეთ. რა წყნარი, რა მომხიბლავი ღამეა! მთვარე კაშკაშებს და ნ.თლად ჰფენს თავის სინათლეს დედამიწას! როგორ ნელ-ნელა მისკურავს, ღრუბლებს ეფარება, თითქო ვილაც ს ეოლებოა. ამაყ დ უცქერის მოცემციმე ვარსკვლავებს.

მაშო. იცი, ქეთინო, შენ მგონანი უნდა გამოსულიყავი, უნდა სწერო ხოლმე.

ქეთ. მარაღა? მე კი არა მგონია! მან ნიქით, საუბედუროდ, არა ვარ დაჯილდოვებული. (მაშო) მაშო, შენ არ დაჰკვირებხარ ცხოვრებას, თუ რა მშვენიერებაა! რატურფა და წარმტაცია? განა აღამიანს როლისზე მოსწყინდება სიცოცხლე, რომ დარდა და ბოროტი არ არსებობდეს?

მაშო. საქმეც ამაშია, ჩემო კარგო, რომ ხშირად ეს მშვენიერი ქვეყანა ჯოჯოხეთად გარდაექვევა ხოლმე აღამიანს და მსწრაფლ ჰკარგავს თავის ღირსებას, ყოველისფერი

შენა ხარ დარდი

ჩემი გულისა

სულით სპეტაკი, სახით ნარნარი,
 შენა ხარ დარდი ჩემი გულისა.
 მე კი მგოსანი, ეზით დამწვარი,
 ფერფლად ქცეული სიყვარულისა.

და ვმღერი მარად, მაგრამ ლამაზო,
 სევდიანია ჩემი სიმღერა...
 ვით უსინათლო აშუღის ხელში,
 თარის სიმების საამო ჟღერა...

ქნარი



პრაპორჩიკი

ალექ. ბეს. ჩიჩუა

ბრძოლის ველზე ნოკლული.

ცხოვრებაში წამია. არ არსებობს ხანგრძლივი
 სიტკბოება, სიმშვიდე წუთისოფელი ცვა-
 ლებადია. ვით დროთა სვლა იგი ჩარხივით
 ტრიალებს.

ქეთ. ნუ თუ ქვეყნიერობაზე არ არსე-
 ბობს ხანგრძლივი სიყვარული.

მაშო. არა, რადგან წუთი-სოფელი წუ-
 თისაა! (უცბად) უჰ, ქალო, რა ცივა?! მე
 აღარ შემიძლიან დარჩენა? წამო სახლში შე-
 ვიდეთ, თორემ დავცივდებით

ქეთ. არა, მე არა მცივა, ცოტა ხანს
 კიდევ ვიქნები!

მაშო მე კი წავალ. მეტად მცივა. არ
 შეგცივდეს! გინდა წამოსასხამი გამოგიტანო?

ქეთ არა, არაფერი მინდა! შენ თუ
 გინდა, შინ შედი. მე ცოტა ხანს კიდევ ვი-
 ქნები! (მაშო გადის).

ქეთ. (მარტო ჰაუზა) ოხ, ღმერთო! ლა-
 მის არი გული შუაზე გამეპოს! რა მემარ-
 თება--თითონ არ ვიცი? ნუ თუ ვეღირსები,
 რომ ოქრო ჩემი გახდეს?... (შეკრთება) ოხ,
 მგონი მოდის, ლამის არის წავიქცე.

II

ქეთინო და ოქრო.

ოქრო. ქეთინო, ჩემო სიცოცხლე!
 (ჭკობნას) რა მოგივიდა, რატომ ხმას არა
 მცემ? იქნება გეწყინა ჩემი მოსვლა?

ქეთ სულზედ უტკბესო! შენი მოსვლა
 მე... მეწყინა? აბა, დააკვირდი ჩემს თვალებს
 და ამოიკითხე, თუ რა სალამს გიძღვნი.ნ.
 შენ ჩემი საამქვეყნო დიდება ხარ! (გულზე
 მიეუწღწობა).

ოქრო. (გატაცებით კოცნას) ოჰ, ჩემო
 სიხარულო, განა მე ამის ღირსი ვარ?!

ქეთ. ოქრო, ჩემო სიცოცხლე ჩემო
 სულის დგამე (სტირის).

ოქრო. რა გატირებს, ჩემო ნუგეშო?
 სიხარულის მაგივრად სტირი?

ქეთ. არა, შენ შემოგველე! ეს სიხარუ-
 ლის ცრემლებია, ჩემი ნეტარება ვერ გამო-
 მითქვამს!

ოქრო. თუ ასეა, რათა ხარ დაღონებუ-
 ლი, მოწყენილი!

ქეთ. განა მოწყენით ვარ.

ოქრო. როგორ არა. არამც თუ ახლა,
 —ეს ერთი კვირაა, შენი მხიარული სიცი-
 ლი აღარ მსმენია! რა ამბავია! შენც ხომ არა
 გლოვობ ჩემს ძვირფას მეგობრის დაკარგვას?
 ოხ ქეთინო, შენმა სიყვარულმა შემისუმ-
 ბუქა მისი დაკარგვა. რომ იცოდე, რა ჩინე-
 ბული, რა პატიოსანი მეგობარი დავკარგე...
 ახლა კი ძისმა სიკვდილმა ისე არ შემადრწუნა,
 როგორც უნდოდა, ეს კი სულ შენი ზრა-
 ლია, ჩემო ცელქო! (გაღაყსება, ქეთინო აშო-

მაღლიანი მეშაკნი

II



გიორგი ნუკრადე.

ლაკვირვებული მკიხველი დაგვეთან-

იხსრებს) რა იყო ბედნიერება! ვინ ბედავს შენს შეძრწუნებას? იქნება მე? შენი მოთაყვანე აქამდის კი არ ვიცოდი. დამსაჯე საკანონო დამდე, ჩემო ზეციერო ანგელოზო!

ქეთ. (დასწრწუნებულად) ოქრო!

ოქრო. რა იყო, მშვენიერება!

ქეთ. კიდეც სთქვი, კიდეც გამაგონე, შენი სიტყვები!

ოქრო. რა გითხრა იმაზე მეტი, რომ თაყვანსა გცემ, ქვეყნის გამჩენზე ვლოცულობ, შენი მონა ვ რ, მოსამსახურე, ფერხთა მტვერი სიცოცხლე!

ქეთ. (ასევე ჩურჩულოდ) ოქრო!

ოქრო. რაო, თვალის ჩინო!

ქეთ. შენთან მინდა ყოფნა.

ოქრო. მეც, მეც შენთან მინდა ერთი და იმავე ჰაერით ვისუნთქო. დავტკბე შენი ლაპარაკით, მაგრამ ჯერ ცოტა ხან მამითმინე, მშვენიერო!

ქეთ. მეშინიან!

ოქრო. რისა?

ქეთ. ვა თუ მანენ-ბოროტმა სულმა შეიშუროს ჩვენი ბედნიერება და ერთმანეთს ჩამოგვაშოროს?

ოქრო. ყოვლად შეუძლებელია! ჩვენ ერთმანეთისთვის ვართ დაბადებულნი. ვის

ხმება, რომ შორეულ პროვინციებში გაბნეულ ქართველების საზოგადოებრივ საქმიანობას, შედარებით, მეტი ნაყოფიერება ეტყობა, ვიდრე იმ ქართველობისას, რომლებიც ჩვენებურ ცენტრებში მოქმედებენ. ეს ადვილი ასახსნელიც არის: დაშორებით მყოფთათვის უფრო აშკარად მოსჩანს მშობლიურ მხარის ავი და კარგი, ვიდრე იმ უმრავლესობისათვის, რომელიც შინვე ტრიალებს და, ნებისთუ უნებლიეთ, თვითვე ჰქმნის ამა თუ იმ ყოფას. ამას გარდა, როგორც კერძო, მგრძობიარე ადამიანს დაშორება ერთი-ორად უცხოველებს მზრუნველობას თვის ოჯახისადმი, აგრედვე, მშობლიურ მხარეს დაშორება, არ შეიძლება ერთი-ორადვე არ გაუცხოველოს შეგნებულ მამულიშვილს თვისი ზნეობრივი, მოვალეობა იმ მხარისადმი „სადაც

შეუძლიან სიხარულის გამომეტყველი აკორდი დაამსხვრიოს?

ქეთ. მერე, შენებს უნდათ რომ ჩემი ვახდე?

ოქრო. რასაკვირველია, იმათ უნდათ. ჩემი ბედნიერება და ან როგორ არ მოინდომებენ? თუნდაც არ უნდოდეთ, მე ხომ მინდისხარ? მინდოდა ჩვენი საყვარული საქვეყნოდ გამომეტყულებინა, მაგრამ ჯერ კიდევ ვარჩიე საიღუმლოთ შეინახოთ, ვიდრე ჩემს საქმეებს მოვრჩებოდე. მერე უფრო დამშვიდებული გამოვიქცევი შენთან და გავბედნიერდებით, ჯვარსაც დავიწერთ! კი არ იჯავრო ჩემი წასვლა, შენ შემოგველოს ჩემი თავი!

ქეთ. თუ მალე მოხვალ? (ცოტა ხნის მერე) მაგრამ არა, ნუ აჩქარდები, საქმე არ გაგიფუჭდეს, ორიოდვე კვირას არა მიშავს რა, შემძლიან როგორმე თავი გავირთო, როგორც იქნება გავატარებ გულის დამღვეს ღღებებს და დავიხლოვებ დიდებულ ღღესასწაულს! წერილს ხომ მომწერ?

ოქრო. ჩავალ თუ არა... შენც ხომ გამოგიგზავნი პასუხს, სიცოცხლე!

ქეთ. უმკველად!

ოქრო. ერთი საფიქრებელი კი გამყვება აქედან და მოსვენებას არ მომცემს!

შობილა-გაზრდილა“, სადაც „ეგულების მამა-პაპათა კუბოს ფიცარი“... .

არის გამონაკლისიც: ყველა ჩვენთაგანი იცნობს მრავალ ისეთ პირსაც, რომელიც, ვინ უწყის, რა წვა-დაგვით გამოუზრდია მშობლიურ მხარეს, მაგრამ ცხოვრებაში გამოსული, დაშორებია თუ არა უკანასკნელს, გაულმერთებია თავისი ზმე“, ჩაყურყუმელავებულა ვიწრო, პირად ყოფის ქაობში და, ილიის თქმისა არ იყოს, ზფებებზე ჰკიღია ქვეყანა და ქვეყნის საქმე“, მაგრამ ჩვენ ესრეთი, პირუტყულ ფსიხკის მქონე, კაცუნები არა გვყავს მხედველობაში არამედ ვგულისხმობთ ისეთებს, რომელთაც ჭირსეულად ესმით ადამიანის დანიშნულება

წინა წერილში ჩვენ გაკვრით აღვ-

ნიშნეთ ერთ-ერთ პროვინციაში მომქმედ მადლიან მუშაკის ნაყოფიერი მოღვაწეობა, ახლა კიდევ გვინდა მკითხველს გავაცნოთ ხალხის გათვითცნობიერებისათვის მეორე თავგამოდებული მუშაკი—გიორგი ნუკრასძე.

გიორგიმ თავისი ჩუმი საზოგადოებრივი მუშაობა დაიწყო, ბ. დ. თედეშვილთან ერთად, ბაქოში, ამ ოციოდე წლის წინედ. თვით პატარა მოხელე რკინის გზაზე და მცირე სახსრით, ის ყოველთვის დროს შოულობდა და, შეძლებისა და გვარი, ზნეობრივ ქონებრივი წვლილი ხალხით მიჰქონდა საერთო საქმისთვის. თითქმის არც ერთი წარმოდგენა, ან სალამო არ იმართებოდა ბაქოში, რომ გიორგისაც იქ რამე მონაწილეობა არ მიეღო და თუმცა ერთ ხანას ბაქოსაც

ქეთ. რა, ჩემო საყვარელო?

ოქრო. რა და ვქნა ჩემს იქ ყოფნაში რომ პალიკო დაგიახლოვდეს და შენი გული მომტაცოს?

ქეთ. პალიკო შენზე წინად ვნახე, მაგრამ ამ გულმა მაინც შენ გიცნო, შენ მოგიცადა, შენ გელოდა!

ოქრო. იმას რომ უყვარხარ!

ქეთ. რა ვუყოთ მერე... იმას ვუყვარვარ. მე კი არა, მორჩა და გათავდა!

ოქრო. ქეთონო! ანგელოზო, ანისრულე საიხოვარი!

ქეთ. მიბრძანე სიცოცხლეც!

ოქრო. სანამ მოვიდოდე, პალიკოზე თავი შორს დაიკირე?

ქეთ. თვალითაც არ დავენახე ბი, ოღონდ შენ კმაყოფილი მყავდე...

ოქრო. მაშ ალარ წახვალ მის დასთან, მარიკასთან?

ქეთ. არა.

ოქრო. ოხ, შენ გენაცვალე, ჩემო ნეტარებავ, ჩემო საუნჯე! ვინ არის ჩვენზე ბედნიერი? (ჭკოცნის).

ქეთ. არაფინ. (ჭკოცნის).

ოქრო. (აღტაცებულია, ქეთინოს მუხებზე თან დაეკემა) სოფელში დავდგეთ, ღვთაებავ, მყულრო ცხოვრებას შევეკედლოთ, რად გვი-

ნდა ქალაქი, როცა უმანკო ბუნება უფრო შესაფერი იქნება ჩვენი სიტკბოებისა! ერთმანეთს მხარში ამოვუდგეთ, ყოველი მისწრაფება, ფიქრი, აზრი ერთმანეთს გავუწოდოთ. ვიმოქმედოთ სიყვარულით ადვსილ ოჯახისთვის, რომლის დედა შენ იქნები, ვზარდოთ თავდადებული მხნე, პატიოსანი შეილები, რომ თავიანთ სამშობლოს გამოადგენენ, აგრეთვე ვიზრუნოთ საწყალ, გაქირვებულ ხალხისთვის! თანახმა ხარ?

ქეთ. შენი სურვილი ჩემთვის წმინდა კანონია, რომელსაც ფრვანასავით თავს შემოველებე შენი ქეთინო!

ოქრო. მერე მხატვრობა? მ გ ს ხომ წრთენა და ვარჯიშობა უნდა? სოფელში მოვივივით საგანგებო მასწავლებელი!

ქეთ. არა, ჩემო ნეტარებავ, ჩვენ ცხოვრებაში უცხოეს ჩამოხიარება არ ივარგებს... არა, ოქრო! მხატვრობასაც შენ განაცვალე და ყველაფერსაც. რა გზასაც მე და შენ დავადგებით, მხატვრობაზე ნაკლები არ იქნება! დაე ერთმა მეორე იმსხვერპლოს, უიმისოდ ხომ შეუძლებელია ცხოვრება არამც თუ მხატვრობას, სიცოცხლესაც შენ შემოგწირავ, ჩემო წმინდათა-წმინდავ! (აყოცებს)

ოქრო. (ნეტარებით) ახ, რა ბედნიერად გავატარებთ ჩვენს სიცოცხლეს!

ორი სამი სადგურით დააშორეს, მაგრამ, საქირო დროს, გიორგი ყოველთვის ბაქოში ჩნდებოდა.

1909 წ. გიორგი გადაიყვანეს მარტოუბნის (ქუთაისის გუბ.) სადგურის უმფროსად გიორგის მოუსვენარი, საზღადო საქმიანობას მიჩვეული, ბუნება ვერ შეეგუა ისეთ მიყრუებულ ადგილსა, როგორსაც მარტოუბნის სადგური წარმოადგენდა და ამიტომაც, თვალყური მიაპყრა, იქიდან ხუთიოდე ვერსზე მდებარე, დიდ სადგურს- შორაპნისას, სადაც მომუშავე-მოსამსახურენი, 600—700 კაცამდე, მოკლებულნი იყვნენ ყოველგვარ გონებრივ გაწვრთნა-გართობას. მათი უმრავლესობა თუ რასმე მისდევდა, ზნეობა-ქონებრივად გამათახსირებელ ბანქო-ნარდის გამუდმებით თამაშს და ლოთობას. გიორგი დაფაცურდა; ხშირად მარტოუბნიდან შორაპანს ფეხით მიდიოდა და მთელ თავის თავისუფალ დროს საქმის მოგვარებას ანდომე

ბდა. ბოლოს რავდენიმე კაცის დახმარებით, შეადგინა პატარა წრე, სადგურის სახელოსნოში მოაწყო სცენა და შეუდგა სისტემატიურად წარმოდგენების დადგმას, რასაც შორაპნელები დიდის ხალისით და მადლობით ესწრებოდნენ. ამასთანავე მოაწყო პატარა სამკითხველოც და ამ გვარად საძირკველი ჩაეყარა შორაპნელთა აზრიან ცხოვრებას. თეატრი და სამკითხველო ახლა თურმე აუცილებელ მოთხოვნილებას შეადგენს სადგურ შორაპანზე მცხოვრებთათვის, განსაკუთრებით მუშებისათვის, და, რა თქმა უნდა, მადლობით იხსენიებენ ამ კეთილი საქმის მომგვარებლათ.

რავდენადაც შევიტყეთ, ბ. გიორგი ნუკრადე ახლა სხვა სადგურზე გადუყვანიათ, მაგრამ ჩვენ დარწმუნებული ვართ, გიორგი, სადაც უნდა მოხვდეს, ის ყოველთვის იმოვნის ასპარეზს თვისი მადლიანი შრომისათვის...
გ. ახალციხელი.



გიორგი სააკაძე ბრძოლის მოლოდინში

ნახატი ვ. სიდ.—ეჩისთ-ვისა

უგვირგვინო მეფენი,

სანდრო შანშიაშვილისა.

სანდრო შანშიაშვილი დღეს საქართველოში რვა წლის განმავლობაში ჩვენი ლიტერატურა ევლასზე ნიჭიერი და ნაყოფიერი მწერალა. კამდინდრა ისეთი ნაწერებით, როგორიცაა „შე-

ბის თავადი“, ქალი გრძნეული, „მეფე მკოსანი“, „ივერია“, „ისონ და რენა“, „ბერდოზმანია“, „უგვირგვინო მეფენი“ და სხ. არ ვიტყვით, რომ ნიჭიერი ეპიკოსი დრამატიული ნაწარმოებში მოაისუსტებდეს: თუ ჩვენს ეროვნულ და მეტადრე ისტორიულ რეპერტუარს თვალს გადავავლებთ, „უგვირგვინო მეფენი“ ძვირფას განძად უნდა ჩათვალოს.

ჩვენი ისტორიული რეპერტუარის საშინელ სიღარიბეს განიცდის... აბა გაითვალისწინეთ: არა დრამატიული ჰატრა-კასი, სარდულე კადმონათელი „სამშობლო“ და სუშბათაშვილის „დალატი“. გვაქვს სხვა ისტორიული პიესებიც, მაგრამ მათი მოხსენება სიძნეულიც კი დღესაც, როდესაც ჩვენი ერგვული თვითშეკენება ძლიერდება, ასეთი სულიერი სიღარიბე მეტად შემძიმრებელია.

პიესა „უგვირგვინო მეფენი“ სუსტად ტენიკურის მხრით, მაგრამ არის მასშიც კლასიკური ადგილები, — მის გვირგვინს შეადგენს კლასიკური ტიპი — შადიმან ბარათაშვილი. პიესის არაკი ადებულის „სისხლის“ დროიდან, რას საქართველომ უდაღეს ტრადიციულ განცდას მიადგინა. სამი ვეშაში ჭლამობდა საქართველოს ჩუღაძეს. მისი ზურმუხტოვანი გულმკერდი — ბრძოლის ასპარეზად გადაქცეულიყო. სისხლის ჩანჩქრები ჭჭუხდა შთას სავშობლოში, ვაის ძახილი ტასა სწვდებოდა. ჩვენი უგვირგვინო მეფენი კი, გონება-აზნეულნი თავს რეტ-დასხმულნი გარბოდნენ თეიან-სტამბოლიდან — მოსკოვს, მოსკოვიდან — რუმს. გული უკვდება ადამიანს, როცა ჭკითხულობს თეიმურაზ I-ის, ვახტანგ მე VI-ის წერილებს. თვითუფ წარგზავნილ ეპისტოლეში ისმის მონური, მაგრამ კეთილშობილური ვედრება დიდებული ბატონი, ვიღაც რუსის გენერლის წინაშე იმდებლებს თავს. უკანასკნელს სიმდიდრეს თუ სიწმინდეს ჭეზავნიან აქეთ-იქით და უოველივე პოლიტიკას მოკლებულნი, ქრისტეთი დაიშვებულნი (სიტყვას: ქრისტე: ჩვენი მძიმე სახელმწიფოთნი ხშირ ბოროტმოქმედობდნენ) გულწრფელ ბავშვებივით სხვის სათამაშოდ ჭნდებიან. ამ დროს გამოჩნდება დიდი ჭენის საქართველოსი კ. სააკაძე, რომელსაც საქართველოსთვის შეეძლო შორეო ოქროს ხანი დაებრუნებინა. ბედით

თუ უბედობით, საქართველოს ჭნობადლი — ჩვენმა მზაკვირობამ იმსხვერპლს და შეიქმნა დამაზი ტრადიცი... მკოსანმა ისარგებლა მითი, და ფრიად სსსიამოვნოა, რომ სიუჟეტების საძებნად იგი სახლგარ-კარედ არ გაბრის, როგორც ჩვენ ზოგიერთ მწერლებს (რომელთაც საქართველოს ისტორიასზე არავითარი წარმოდგენა არა აქვთ) ჭსჩვევიათ.

ავიღოთ პიესა: მკოსანს დიდი უურადლება მიუქცევია შადიმანისთვის და თათქმის მასში ინთქება ტრადიციის მოქმედება, მის გრძელო ტრადიციებს დერძი — ტრიდოგის პირველ ნაწილია მისი მოქმედება ისეთი ვრცელი მასშტაბით არის განსახდერული, პიესას რა შადიმან ბარათაშვილი“ ჭრქმეოდა, ამით ვგონებ არა შეიცვლებოდა რა. შადიმანი — ტრადიციის გვირგვინია. ავტორზე დიდი გავლენა მოუხდენია შექსპირის იაკოს, მხოლოდ შადიმანის მოქმედება უფრო ვრცელ ასპარეზიანია და საძიელი... სურთოდ შადიმანის ტიპი, ავტორისგან კარგადაა შესრულებული

მეტად მერთადად არის ასახული დიდი მორავი გიორგი სააკაძე. მეფე ლუარსაბ უფრო ეგრძობილ პრინცს მოგვაცხებებს, სანამ იმ ქართველ მეფეს, რომელიც მეფობაში მართალია ასეთი ბედგზავი იყო, მაგრამ ჭქონდა საკუთარი ნების-ყოფაც, რამაც შემდეგ ი მოწამეობის გვირგვინი დაადგა თავზე. ვრცლად არ შევხებით პიესას და არას ვიტყვით დანარჩენზე. პიესის ენა მეტად მშვენიერია და ისეთი დამაზი, როგორც ბ. შანშიაშვილს შეჭვერის.

როგორ შეასრულეს პიესა? ამსრულებელთა შორის იუსა საზრდალი შვილია მხატვრულად ჩატარა ლუარსაბის როლი, რომელიც პირველ უბედურებაშივე და მარცხში გაიხდინა ჭკარგავს. ბნი ვადაზიკიშვილი არაფრით არ გვანდა დიდ მოუხრავს.

გამურელიძეს დიდად საძიელი როლი ეკისრნა. პიესა მხოლოდ მას დაწვა. მან საშუალოდ ჩატარა შადიმანის როლი, ჭერჯერობით იგია შადიმანის ნიჭიერი ამსრულებელი. არა უშავდა რა ქნელი ანდრონიკაშვილს, მისი ერთი დიკსებათაგანი — ქართული ტყავა იყო. დანარჩენთ შორის, თბოლ მარგალიტად მოსხანდა ბნი მურუსიძე და სი-

ცოცხლე შექქონდა ქნ მჭედლიშვილის ასულსა თავადების ჭკუფი მეტად სუატი იყო. ნუ თუ მზინარი თავადები ამშვენებდნენ ბავრტიონის ბრწინვალე სსსახლეს? ძლიერ მოასურსტებდა მისიური სტენები და ეს მისთვის რომ, ჩვენში არავითარ უურადლებას არ აქტევენ "სტატისტებს" და ვინც კი შეჭხვდებათ — მის გამოიყვანენ. სტატისტობასაც კარგი შესწავლა უნდა, რადგანაც პიესის მწეობრი მსვლელობა მასხედაც არის დამოკიდებული. ზეი მის დროს, სტატისტიკის ქტევა აუტანელი იყო: არავითარი სიდარბასილე, თავის დაჭერა თუ სხ. უადგილო-ადგილს დრეჭა დიდად უშლიდა ხელს მოქმედებას; ხან მისრეთის მუმიასავით დადუმებდებენ, ხან კი სახეღვარს სტოლდებოდენ.

პიესა დასდგა შალვა დადიანმა და აქცთავისი გემოვნება გამოიჩინა, მიუხედავად იმისა, რომ სახალხო სახლის მოწყობილება და ნივთიერი მდგომარეობა ქობრკავდა მოქმედებას. საერთოდ რეჟისორის მხრით არ იყო დაცული ქართული სტილი. სპარსული მომღერლები — მიუთის ხავერდ გადაშლილი ტაბლას, სპარსულ გემოვნებაზე აშენებული სასახლე თუ სხ. მართალია, ეზოქა ისეთი იყო, რა უგვალაყერი სპარსეთიდან მოგვქონდა, მაგრამ ჩვენ ბევრი რამ გვქონდა საკუთარი და უფრო უძვირფასესი. მეტად დარბი იყო ზირველ და მეორე მოქმედების დეკორაციები...

საერთოდ სასახლის მართულობა სრულეობით არა სჩნდა. მრავალ და აღურბისველ ნაკლთა შორის ჩვენ თუატრს არა აქვს განვითარებული მხატვრული ტემპერამენტი. სინამდვილის უდეტალობა საშინელ დისონანსად იტრება პიესის მსვლელობაში. ჩვენ ვერ დაფუთანხმებით ზოგიერთების აზრს, ვითომც მხოლოდ პიესას სხვა კი არაფერი. მაგალითად ჩვენ შეგვიძლია ვსთქვათ, რომ პიესის მსვლელობა სშირად საშობელზედ ც (კოსტიუმი) არის დაფუნებული. ისტორიულთან სწორი სამოსელი სჭირდა დრამატიულ მოქმედებისთვის, სტენიურ ილიუზიის და დრამატიულ ეფექტების მოსახდენად. ჩვენის აზრით, მომქმედ პირის ბუნებრივ ბა სშირადც ტანისამოსის აბსოლუტურ სინამდვილისგან წარმოსდგება, მით უმეტეს, რომ სამოსელის ერთი

თვისებათაგანია გამომხატველობა ეზოქისა. გარდა ამისა, მსახიობის შესტიუეულობა და მოძრაობაც ხომ სამოსელის სტილისგან წარმოსდგება. ასევეა თითქმის დეკორაციის მნიშვნელობა. სშირად დეკორაციის სიღარიბე და სიძუნწე მრავალ ეფექტებს გამოსტატებს სხლმე პიესას. სწორედ ამ მხრე სუსტად ჩაიარა სანდრო შანშიაშვილის პიესამ: მეფე ლუარსაბს უბრალო თავადისგან ანუ დევეანდელ ქულაჯაში ჩაცმულ მომღერლისგან ვერ გამაანჩევდით. თავადებსაც ისევე ის ქულაჯა, რომელსაც ატარებდენ ქართულები — ჩვენი რეჟისორების აზრით — სსუეუნიდან ვიდრე დევეანდლამდე. საერთოდ მათ არ ეტეობდა, რომ იგინი ივერიელი თავადები არიან, რომლის ჩაცმულობამ ევროპიელთა საერთო უურადლება მიიხერც ფლორენციის კრებაზე (მე-15 საუკ.) შეიძლება მიხეცად ჩვენი სტენის სიღარიბე მოგვიყვინათ, მაგრამ სულ ხომ ასე არ ვიქნებით.

საერთოდ — კი უნდა ვსთქვათ, ჩვენში ისტორიულ ჩაცმულობის საქმე და ესთეტიკა უფურადლებოდ არის მიტოვებული. ჩვენმა რეჟისორ-მსახიობებმა არ იციან ჩვენი ანც ისტორია და ანც არქეოლოგია რაიცა დიდად აუცილებულია, — იგიც ერთგვარი საშუალებაა სტენიურ ილიუზიის აღსასრულებლად!.. *)

გოგლა

მაშ... რაღად გიკვირს!?

(მეგობრისადმი).

ო! მეგობარო! რო მეითხები, თუ რამ ჩამიკენა ყრნობისა ვარდი, — რა გიპასუხ...?

*) ვ თიბათვის წარმოადგენა, სინათლის უქონლობის გამო, თითქმის თერთმეტ საათზე დიწყო, რამაც ცულ გუნებაზე დააყენა როგორც მსახიობნი. ისევე საზოგადოება ამ საღამოს ბ-ნმა შალვა დადიანმა თავის სიტყვაში, სხვათაშორის, აღნიშნა, რომ თუმცა მორთულობა, დეკორაციები და ტანისამოსი დღესდღეობით შესაფერი არა გვაქვს, ამ პიესას მაინც ვსდგავართ. ალბად მომავალში უკეთ შესტლებენ მის დადგმას.

შენ ვერ წარმოიდგენ, თუ რა სათუთად დავფარფატებდი მის სურნელოვან ფურცლებზე... ვერ წარმოიდგენ... მაგრამ ახლავი!...

აბა შემოიარე ჩემ სათაყვანებელ, ოდესღაც ტურფა, აწ კი სისხლის ნიაღვრით წალეკილ ობოლ წალკოტში, თუ შენც არ აცრემლდები... აბა შემოიარე!

ხედავი... აგერ გადამტვრეული, ოდესღაც თეთრი, ვით სული ანგელოსისა, აწ კი სისხლით ფერილი ზაზზახი...

აგერ სუსამბრ ს ღეროც...

აგერ სისხლის გუბეში ობლად მოხეტლვე ნარგისის ფურცელი...

აგერ... მაგრამ, ... განა შენ კი ვერ ამჩნევ?


ოჰ! მე კი აღარ ძალმიძს მათი მზერა .. მე კი აღარ ძალმიძს და!...

მაშ... რაღად გიკვირს, რომ ჩემ სათუთ ყრმის ვარდს ოდესღაც ტურფა წალკოტის ახლანდელმა სანახაობამ ფურცლები ჩამოუქჰენა?

მაშ... რაღად გიკვირს?!

ს. კავშირშილი.

საში კითხვა



(სოფლებიდან)

რათ ვმღერო, როს მწუხარებას დაუღარავს ჩემი გული, როს სულს მიწყლავს სასიკვდილოთ უკურნავი მწვავე წყლული?

II

რათ ვღუმვარ, როს ირგვლივ ისმის უღარდელი ტკბილი მღერა, როს ბუნების გამოძახილს უერთდება გულის ძგერა?

III

რათ არის, რომ ჩანგის სიმნი გამოსცემენ მწუხარ ხმასა, დასასრული აღარა აქვს სიმწუხარეს, გულის თქმასა?

ლ. ძიძიგური

წერილები მეგობართან

ქართველ მუსულმანების შესახებ.

მეგობარო!

ერთ აქაურს სასწავლებელში იყო სჯულის მოძღვარი რუსი, ძალიან კეთილი, ქველ მოქმედი, სიმატლის მოყვარე. მოსწონდა საქართველო. მაგრამ მაგარ სასმელთა მიმართ ლტოლვილების გარდა ერთი დიდი ნაკლი ჰქონდა: ქართველობა არ უყვარდა... ისე კი ხშირად ქართველ მოწაფეს შეელოდა... მაგრამ ზემოთ დასახელებული ნაკლი ავთიყოფობასავით ჰქონდა დაჩემებული. ერთხელ ერთს ქართველ ინტელიგენტს გულახდილათ უთხრა მოძღვარმა: „მე არ მესმის, თუ როგორ იქცევა რუსთა მთავრობა, ბათომი და ბათომის ოლქი რუსებმა თავისი სისხლით აიღეს; თვისი ძეგლები აქ ჩაჰყარეს, და შემდეგ კი ამ ქვეყანას ქართველები დაეპატრონენ. საქალაქო გამგეობაში ქართველებია, ვაქართა უმეტესობა ქართველებია, მცხოვრებთა უმრავლესობა ქართველებია... ვერ გამოგია, რას სჩადის ჩვენი მთავრობა? ჩემი ნება რომ იყოს, არც ერთს ქართველს არ დავაყენებდი ბათომში. ბატონო! რუსეთმა შეიერთა საქართველო ჩოლოქის წუჯამდის... და ქართველს ნება არ უნდა ჰქონდეს ამ წყალს გადმოსცდეს და ბათომში დასახლდეს!“ რასაკვირველია, შოვინისტმა მოძღვარმა მიიღო შესაფერი პასუხი იმ ინტელიგენტისაგან. „მერე იკადრა ჩაჩუმება... მაგრამ მოძღვრის საუბარი დამახასიათებელი კია!... საერთო უწესრიგობის გამო უმეტეს ნაწილად თითოეული ასასი, თითოეული უბრალო აკაკი აკაკიევიჩი, ტომით რუსი, თავის თავს ჩვენს ქვეყანაში კულტურის შემომტანად სთვლის, ყოყმანობს, ყოველივე ადგილობრივი სძულს... ამით კი სოფელი არ აშენდება...“

არ მიკვირს ამის შემდეგ თუ ქართველებს რათ უტკებრიან ცუდი თვალთ ბათომისკენ აქაური ბიუროკრატები... გასაოცარ მოვლენად ჩასათვლელია ის გარემოება, რომ ქართველებს აღკრძალული აქვს მიწის ყიდვა

და აგარაკის შექმნა ციხის ძირში და მწვანე კონცხზე.. იმ ციხის ძირში, რომლის ფერ-დობებზე 1876—1878 წლებში მრავალი ქართველი გაწყდა...

სამართლიანობა და კანონიერებაც ამის-თანა უნდა?! ამის შედეგ რა ვასაკვირველია, რომ ზოგიერთმა ბიუროკრატებმა მთელი თვისი ჯოჯოხეთური ძალები აამუშავეს ქარ-თველ მუსულმანთა შორის ეროვნულ შეგნე-ბის შესამუსრავად.. აღბად არიან ისეთი გვაგები, რომელთაც საქართველო უყვართ, იმ პირობით, თუ მის მიწაწყალზე ქართვე-ლები აღარ იქნებიან?!

შენი მეგობარი ჩაქუჩი.

დროული ამბები

ახსახუბი

სამშობლო იღვიძებს, წყლულები გამოე-ღებს ცდილობს.

დიდის ხნიდან დაქსაქსულნი ძმანი ძლიერ ერთი კერის ირგვლივ—დედა ქართლის განშე-შე—ვიკრებივით.

გვეყო რატ უერთმანეთოდ, ერთი მეორესგან გათიშულნი ვცხოვრობდით ქართლ-კახეთა, იმერ-სამურეთი, გურია-სამეგრელო-აფხაზ ეთ-სჭარა ჭანეთ-სვანეთი რომ ერთი დედ-მამას შეიღნი ვართ, განა ამას მტკიცება და უნდა?

შავ დროთაგან გაგარეგებულნი ქართველნი მამუღაინი უკვე კვიბრუნდებიან.

ახლახან გაბეღულა ხმა ამოიღო ძველი საქა-რთველს შეგნებამ აფხაზეთმა და თვისი წარმო-მადგენელის ბავით განაცხადა: მომეცით გზა გა-ნათლებული ცხოვრებისა და ნუ მწუვითაგთ დედა საქართველოს მკერდს, შე მისი ძუძუ მიწოვნია იგი ჩემით საზრდოებულა: მასთან სიცოცხლე, მასთან სიკვდილი! — ასე იყო ძველად, ასევე უნ-და იყოს ახლაც...

გაშა და დიდება გათვითცნობიერების გზაზე შემდგარხაღხს. სხანს სიბნელეს საფსებით არ უძ-ღეგვართ, გარეგ-რეჟი შემოგვდიმის და მომავალს გვაქადის...

საღამო ჩვენი გულის ჩამონაწვევტ სკანძს — ჩვენს ძმებს აფხაზეებს და გაუმარჯოს მათს ში რველ ნაბიჯს...

ქართველ ხელოვან-თა საზოგადოება!

იშვიათია ისეთი უყვირალი მოსაქმე და მცირე დროში ეგოლენი თვითმოქმედების გა-მოჩენი, როგორც ქართველ ხელოვანთა საზო-გადოება, რომელიც ამ ერთი თვის წინად ჩაი-სახა და იშვა..-

საზ-ის გამგეობა უკვე ბევრთად შეუღვა ქართული ხელოვნების ძველი ნაშთების გა-დმოღება-შეკრებას და ეს-კი დიდათ საქიროა.

დღეს, კვირას, 12 ივნისს, ამ საზ-ის თა-ოსნობით ჩვენი ცნობილი მეცნიერი, პრ. ივ. ჯავახიშვილი. ახალ კლუბის დარბაზში წაი-კითხავს ფრიალ საყურადღებო ლექციას „ქარ-თული ხელოვნების ისტორიდან?“ ივ. ჯავახი-შვილის სახელი, აღებული საგანი და ქართველ ხელოვანთა საქმიანობა იმდენად საყურადღე-ბოა, რომ მგონია საზოგადოება დიდის თანა-გრძობით შეხედვება და მით ხელს შეუწყობს ნორჩი საზ-ის წინსვლას..

ექიმი შტოკმანი

წიგრილი ამბები

◆ **ჩაშისორი შ. დალიანი**, როგორც ისმის, საზამთროდ თბილისს იქნება მოწვეული.

◆ **მ. შალიაშვილი** გასულ კვირას სამკურ-ნალოდ ცემს გაიგზავნა.

◆ **ს. აბაშელი**, სამპურნ ლოდ წაღვერს გა-ემგზავრა.

◆ **მუსიკისი ია კარგარეთელი** ამ ზაფხულს ერთაწმინდაშია, სადაც უკვე შეპკრება სახალხო ლექ-სები და ლეგენდები. ამ ჟამად სწერს ქართულ რომა-ნებს.

◆ **აბაქის დაბადების დღეს** ქართ. საეთ.—სახისტ საზ-ის თაოსნობით 9 ივნ. ახ. კლუბში სა-ღამო გაიმართა. სხვათა შორის დაიდგა აკაკის „თა-მარ ცბიერის“ ერთი მოქმ. ვლ. მესხიშვილის და ნ. დავითაშვილის მონაწილეობით. დავსწრო აუარებილი საზოგადოება.

◆ **მასწავლებელი მშობალი პლ. ივ. ნი-თაძე** ამ მოკლე ხანში გორში ლექციების წაკით-ხვას აპირებს აღზრდის შესახებ.

◆ **ალ. ნათაძე** დასწერა ვრცელი მიმოხი-ლვა „ქართული საყმაწვილო მწერლობა“.

◆ **იაკონური ზღაპრები**, ალ. ნათაძის რე-დაქციით თარგმნილი, თითქმის დამზადებულია და მალე დაიბეჭდება კიდევ სურათებით.

◆ **ქართულ მოღვაწეთა აზარაპის** ასაშენებლად ალექსი გრიგ. უგზავნივან მივიღეთ ათი მ.

◆ **ახალ კიხის** სწერს ალ. ივ. სუმათაშვილი. პიესას ეწოდება „ეკატერინე მეორეს გამეფება“, რომელშიაც, სხვათა შორის გამოყვანილია მსახიობი სანდუნაშვილი (სანდუნაი) და არაქვეყნი

◆ **შ. ლეჟიაშვილმა** გადმოთარგმნა უსლერის „ძმა ძმის მტერი“ და შექსპირის „ქარიშხალი“, ხუთ მოქმედებანი პიესები, პიესად გადმოაკეთა ალ. ყაზბეგის რომანი „ეციკა“.

◆ **ხელოვნების კლუზი** შაბათს 18 ივნისს გ. გვედევანოვის მონაწილეობით წარმოღ ენილი იქნება „რაც გინახავს—გელარ ნახავს“

◆ **ქართ. კულტ. მოკ. საზ-ის** თარსნობით დღეს, კვირას 12 ივნისს, სამშობლო ისტორი ს მოყვარულნი მცხეთას გაემგზავრებიან საექსკურსიოდ. ექსკურსიას ხელმძღვანელობს ისტ. მ. ჯანაშვილი, მსურველნი თბ. სადგურზე უნდა გამოცხდილიყ. 8¹/₂

◆ **პრ. იმ. ჯავახიშვილი** ქართ. ხელოვანთა საზ-ის თარსნობით დღეს 12 ივნ. „ახალი კლუბის“ დაბაზში“ წაიკითხავს ლექციას—„ქართული ხელოვნების ისტორიიდან.“

თბ. გუბ. სახალხო მასწავლებელთა კრება ს. ხალხო სახლში კვირას 5 ივნ. დაიწყო ვ. ბურჯანაძის თავმჯდომარეობით მისივე მისალოცი სიტყვით მიულოცეს აგრედვე ქართულ-სომხურ ჟურნალ-გაზეთებისა და სხვა წარმომადგენლებმა.

კრების თავმჯდ. ამოირჩიეს ვ. ბუჯანაძე, ამხანაგებად მარკარიანი და პეტრავი, ქ. შიუკაშვილი, ქ. გოდერძოვისა და ქ. ბუსლავეი. გადაღებულ იქნა კრების წარმომადგენელთა სურათი. კრება 12¹/₂, დაიწყო 3¹/₂-ზე დაიხურა შემდეგ კრებებზე დამსწრეთ მოსმინეს სხვა და სხვა მოხსენებანი.

◆ **ლ. ხაშურის ქართ. დრამატიულ წარმ.** გადასწყვიტა საზაფხულო სეზონისათვისო რეჟისორად მოიწვიოს შალვა დადიანი დ ელო ანდრონიკაშვილი

◆ **ლ. ბორჯომის სცენის მოკვ. წარმ.** გამოც-ტსლება დაეტყო მას შემდეგ, რაც მსახიობი ჟივიძე გადმოიყვანეს აქ. ჟივიძის მონაწილეობით და რეჟისორობით ქართული წარმოდგები ხშირათ იმართება და საზოგადოება კმაყოფილია.



ახალი კლუბი 1 კვირის პროგრამა 12 — 19 ივნისს

ორშაბათი — რუსული ოპერეტა

სამშაბათი — სიმფონიური კონცერტი

ოთხშაბათი — სინემატ. სიმფ. ორკესტრი

ხუთშაბ. — ქართ. წარმ. (უფას); ორკ.,

პარასკ. სინემატოგრაფი, სიმფონ. ორკ.

შაბ. — სიმფონიური კონცერტი

კვირა — საბავშო საღამო, ორკეს. სინემატ.

დასაწყისი: კონცერტებისა საღამ. 9 საათ., წარმოდგენისა და სინემატოგრ. საღ. 8¹/₂ ს. **შესასვლელი** ფასი ჩვეულებრივია, მხოლოდ საქშაბათს და შაბათს იხდინა: მანდილოსნები და სტუდენტები (ფორმ.) 65 კ. მამაკაცები 1-05 კ.

სამშაბათს 14 სახალხო სახლი 1916 წ. თბიბთვეს სახალხო სახლში სცენის-მოყვარეთა მიერ პირველათ **შლ. ს. ალექსი მესხიშვილის** მონაწილეობით **წარმოდგენილი იქნება:**

1 ინსტიკტი დრ. მ მოქ. კისტმეგრისა

2 მათიკო თარ. ვ. მესხიშვილისა.

მეს. მოქ. ცაგარელისა მონაწილეობენ: ქ-ნი ბარათაშვილი, ა ქიქოძე ე. იანჭოშვილი, მქედლიშვილი, ბბ. ვლ. ვ. ალექსი მესხიშვილი, ნ. გოციბიძე, ვ. ნინიძე, გოგია გიორგაძე, შანშიგი, სალაყაია, გ. ჯაბაური, და სხვა ადგილების ფასი 30 კ.-ან 99 კ.-მდე გამგე ჯაბაური და ნ გიორგაძე დასაწყისი საღამოს 8 ს. რეჟისორი ვლ. ს. მესხიშვილი

სკლასანთა კლუბი ორშაბათს, 13 ივნისს

ნაძალადევის სცენის მოყვარეთგან ვ. გამყრელისა და გ. გვედევანოვის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება ისტ. ღრამა. 5 მოქმ.

სამშობლო 7 სურ. ერისთავის ადგილების ფასი ყველასთვის ხელ მისაწვდენია დასაწყისი საღამოს 8¹/₂ ს. რეჟისორი ს. გოგაშვილი

ახალი კლუბის დარბაზი

ქართველ ხელოვანთა საზოგადოების თარსნობით კვირას, 12 ივნისს, შუადღის 12 ს. ივანე ჯავახიშვილი წაიკითხავს ლექციას

ქართული ხელოვნების ისტორიიდან ლექცია შეეხება ხუროთმოძღვრებას, მხატვრობას,

განაკუთრებით ისტორიულ. აგრედვე ტანისამოსისა, თავ-საბურავისა და ქსოვილების ისტორიას. ლექცია დასურათებულია დიპლოზიტეებით ფასი 2 მან. 45 კ.-მდე

რედაქტორ-გამომცემელი **ანნა იმედაშვილისა**